პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 78 (13760)

კვირა, 2 აპრილი, 1967 წ.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა

1 აპრილს მუშაობას განაგრძობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

მოხსენებათა გამო კამათში ამ დღეს გამოვიდნენ საქართველოს სსრ სატყეო, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის მინისტრი ვ. ვარაზაშვილი, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის დირექტორი ო. ბალანჩივაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. კეშელავა, საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივანი ბ. მკრდოშვილი.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებანი. (საქდესი).

ახალ წარმატებებს გისურვებთ, სოფლის მშრომელებო!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას გადაეცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით ემზადებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად. უმაგალითო გაქანებით მიმდინარეობს სოციალისტური შეჯიბრება იმისათვის, რომ ახალი გამარჯვებებით აღვნიშნოთ საერთო სახალხო დღესასწაული, ღირსეული წვლილი შევიტანოთ სამშობლოს შემდგომი აყვავებისა და ძლიერების განმტკიცების საქმეში.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ პარტიის XXIII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და მაისის პლენუმების გადაწყვეტილებებს, დიდი წარმატებანი მოიპოვეს ხუთწლედის პირველ წელს. გადაჭარბებით შესრულდა მარცვლის, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ყურძნის, ციტრუსების, შაქრის ჭარხლის, დაფნის ფოთლის, ბოსტნეულის, აბრეშუმის პარკის, ხორცის, რძის, კვერცხისა და სხვა პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები.

საქართველოს სს რესპუბლიკას, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარებაში 1966 წელს მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისათვის გამარჯვებულად ცნეს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, მიენიჭა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

ამ სასიხარულო მოვლენას მიეძღვნა რესპუბლიკის პარტიული და სამეურნეო აქტივის კრება სოფლის მშრომელთა წარმომადგენლებთან ერთად.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო აკადემიურ თეატრში შეიკრიბნენ კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, ფაბრიკა-ქარხნების, ტრანსპორტის, მშენებლობათა კოლექტივების წარმომადგენლები, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მინისტრები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

კრების პრეზიდიუმში არიან ვ. პ. მჟავანაძე, ბ. დ. ჯავახიშვილი, ბ. ს. ძოწენიძე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მინისტრი ლ. რ. კორნიეცი, პ. ა. როდიონოვი, დ. ბ. სტურუა, რ. ი. ფრუიძე, ბ. ი. ჩოგოვაძე, შ. ი. ჭანუყვაძე, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, ო. ი. ლოლაშვილი, ო. ვ. ჩერქეზია.

კრება გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ.

შესრულდა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

ტრიბუნაზეა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მინისტრი ლ. რ. კორნიეცი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს სახელით მან მხურვალედ მიულოცა საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებსა და რესპუბლიკის ყველა მშრომელს დამსახურებული გამარჯვება, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც მიენიჭათ სოფლის მეურნეობაში 1966 წელს მოპოვებული დიდი წარმატებებისათვის.

ამხ. კორნიეცი დაწვრილებით შეეხო წარმატებებს, რომლებიც რესპუბლიკამ მოიპოვა ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში, აღნიშნა სოფლის მეურნეობის მშრომელთა ამოცანები სოფლის მეურნეობის პროდუქტთა წარმოებისა და დამზადების შემდგომი გადიდების საქმეში.

— თქვენი რესპუბლიკა, — თქვა მან, — ყოველთვის დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდა ჩვენი სამშობლოს ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაში. დიდ ამოცანებს სწყვეტთ ახალ ხუთწლედშიც, რომელშიც გათვალისწინებულია საქართველოში ელექტროენერგიის, მანქანათმშენებლობის, ქიმიური მრეწველობის, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის უპირატესი განვითარება; სოფლის მეურნეობის დარგში — ჩაის, ყურძნის, ციტრუსების, ხილის, თამბაქოს, სხვა კულტურების წარმოების შემდგომი ზრდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დავალებით, თქვა დასასრულ ამხ. კორნიეცმა, ნება მიბოძეთ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას გადავცე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

დროშა გამოაქვს სოციალისტური შრომის გმირს მ. მეძვეურიშვილს, რომელსაც ახლავან სოციალისტური შრომის გმირები თ. ყუფუნია, ტ. ჩხაიძე, ნ. ყოჩიაშვილი, ვ. პაპინაშვილი, ბ. საგაკაძე, ვ. ლაკოია.

დამსწრეთა ტაშის გრიალში ამხ. კორნიეცმა დროშა გადასცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბ. დ. ჯავახიშვილს.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ამხ. ჯავახიშვილმა. მან მადლობა გადაუხადა კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას საპატიო ჯილდოსათვის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელით მისცა სიტყვა, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები და მთელი ქართველი ხალხი ძალღონესა და ენერგიას არ დაიშურებენ, რათა ამრავლონ მოპოვებული მიღწევანი და ახალი შრომითი გამარჯვებებით შეეგებონ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს.

კრებაზე სიტყვები წარმოთქვეს ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. ბაჯელიძემ, გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სოციალისტური შრომის გმირმა ვ. ლაკოიამ, „თბილგვირაბმშენის“ გვირაბგამყვანთა ბრიგადირმა სოციალისტური შრომის გმირმა ბ. ოგოლაძემ, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის სხულუხიას სახელობის არტელის კოლმეურნემ, სოციალისტური შრომის გმირმა ვ. სხულუხიამ, ცხინვალის რაიონის სოფელ დმენისის კოლმეურნეობის ბრიგადირმა სოციალისტური შრომის გმირმა ბ. საგაკაძემ, გორის რაიონის სოფელ ფლავის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. ეცადაშვილმა, მარნეულის რაიონის ყარაღნის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა პ. ბასანოვმა, პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. აზაურაშვილმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა ვ. მეტრეველმა, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ზემო აკეთის არტელის კოლმეურნემ სოციალისტური შრომის გმირმა ლ. ჩხაიძემ.

კრების მონაწილეებს მიესალმა თბილისის ახალგაზრდობის ჯგუფი.

კრების მონაწილეებს გულთბილად მიესალმა ვ. პ. მჟავანაძე.

კრება დამთავრდა.

შესრულდა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები. (საქდესი).

თბილისი. 1967 წლის 1 აპრილი. სურათებზე: ზემოთ — საქართველოს სსრ პარტიული და სამეურნეო აქტივის კრების პრეზიდიუმში. ცენტრში — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მინისტრი ლ. კორნიეცი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალ წითელ დროშას გადასცემს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბ. ჯავახიშვილს; ქვემოთ — კრების დარბაზში.

ფოტო ვლ. ბინზაურგისა.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

„საქართველოს სსრ დამსახურებული გეოლოგის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ

1. დაწესდეს „საქართველოს სსრ დამსახურებული გეოლოგის“ საპატიო წოდება.

2. „საქართველოს სსრ დამსახურებული გეოლოგის“ საპატიო წოდება მიენიჭებათ უმაღლესი განათლების მქონე გეოლოგიური სამსახურის ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, რომლებმაც გეოლოგიის დარგში იმუშავეს არა ნაკლებ 20 წლისა და განსაკუთრებით გამოირჩევიან საწარმოო და საზოგადოებრივი მოღვაწეობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი,
1967 წლის 1 აპრილი.

შრომითი ნობათები

◆ საქართველოს კპ დუშეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. შალურმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. მწიფურმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ბ. ზოზიკიშვილმა „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს, რომ რაიონის მშრომელებმა 25 მარტისათვის სახელმწიფოს მიაყიდეს 2.742 ცენტნერი ხორცი ნაცვლად პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული 1.850 ცენტნერისა, 3.049 ცენტნერი რძე ნაცვლად 2.800 ცენტნერისა, 155 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად 145 ათასი ცალისა.

◆ სამტრედია. (საკ. კორ.). ყველისა და კარაქის მთავარი ქარხნის კოლექტივმა პირველი კვარტალის დავალება ვადაზე 25 დღით ადრე 101 პროცენტით გაანადა. დარჩენილ დროში დამატებით გამოუშვა 40 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

საიუბილეო წელს ქარხნის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს გამოუშვას 100 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

ქარისა და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს ქარისა და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა საკითხი და მიიღეს შესაბამისი დადგენილება. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ველისა და ტყე-ველის რაიონების ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას ნიადაგთა ეროზიის ფართოდ გავრცელების შედეგად სასოფლო-სამეურნეო კულტურების მცირე და მერყეევი მოსავალი მოჰყავს.

თითქმის ყოველწლიურად ყაზახეთის სს რესპუბლიკაში, დასავლეთ და აღმოსავლეთ ციმბირის ველის რაიონებში, სამხრეთ უკრაინასა და ჩრდილოეთ კავკასიაში, ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ სხვა ზონებში მტვრიანი ქარიშხალი აქრევს ნიადაგის ნაყოფიერ შრეს, აზიანებს და ხპობს ნათესებს მნიშვნელოვან ფართობებზე, ცალკეულ რაიონებში კი სარწყავ მიწებს, ხაირიგაციო არხებსა და წყალსატევებს მიწით ავსებს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებას დიდ ზიანს აყენებს აგრეთვე ნიადაგთა წყლისმიერი ეროზია უკრაინის სს რესპუბლიკაში, მოლდავეთის სს რესპუბლიკაში, ცენტრალურ — შავმიწანიადაგიან ზონაში, ვოლგისპირეთსა და ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ სხვა რაიონებში. წყლისმიერი ეროზიის შედეგად ფუჭდება ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მნიშვნელოვანი ფართობები, მკვეთრად მცირდება მათი ნაყოფიერება, ილამება მდინარეები და სხვა წყალსატევები. ყოველწლიურად სულ უფრო ისერება ტერიტორია ხევებით, უარესდება ჰიდროლოგიური რეჟიმი ძლიერ მცირდება მინდვრების ტენშემცველობა.

ამიერკავკასიის მთიან რაიონებში, კარპატებსა და შუა აზიაში ღვარცოფები (ტალახ-ღორღის ნაკადები) ლეკავენ ბნულებს, სპობენ ნათესებსა და ნარგავებს, ანგრევენ შენობებს, რკინიგზებსა და გზატკეცილებს.

მიუხედავად დიდი ზარალისა, რასაც ნიადაგთა ქარისა და წყლისმიერი ეროზია, გვალვა და ქარაშოტი აყენებს ხოფლის მეურნეობას და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებს, ნიადაგთა დაცვისა და მინდორსაცავი ტყის გაშენების სამუშაოები ჯერ კიდევ უმნიშვნელო მასშტაბით ხორციელდება, ბევრ მეურნეობაში კი სრულებით არ წარმოებს. ტყის ზოლების დიდი ფართობები ცუდ მდგომარეობაშია, არ უვლიან, არის ხოლმე მინდორსაცავი ტყის ზოლების გადაძოვნისა და დაზიანების შემთხვევები, ტყეების უხისტემო ჩეხვა, არ ხორციელდება მათი აღდგენის საჭირო ღონისძიებანი.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი, ბევრი პარტიული და საბჭოთა ორგანოს, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელები ჯეროვნად ვერ აფასებენ ნიადაგთა ქარისა და წყლისმიერი ეროზიის გამანადგურებელი მოქმედების საფრთხეს და არ ახორციელებენ ღონისძიებებს, რომ წარმოებაში დაინერგოს სამეცნიერო დაწესებულებათა მიერ შემუშავებული და პრაქტიკულად შემოწმებული მიწათმოქმედების სისტემები, რომლებიც ხელს უწყობენ მიწებისა და ნათესების დაცვას ეროზიისაგან. ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა საცავი ტყის გაშენებას — სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების ამ დიდმნიშვნელოვან საშუალებას.

სამრეწველო საწარმოები ხაკმაო რაოდენობით ვერ უშვებენ მანქანებსა და იარაღებს ნიადაგთა ეროზიის წინააღმდეგ საბრძოლველად, ხოლო რასაც უშვებენ, ხშირად დაბალი ხარისხისა და სერიოზული კონსტრუქციული ნაკლოვანებანი აქვს.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ ნიადაგთა ქარისა და წყლისმიერი ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ამოცანაა იმ ღონისძიებათა სისტემაში, რომლებსაც პარტია და მთავრობა ახორციელებენ ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარებისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკას“, ადგილობრივ საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო, წყალსამეურნეო და სატყეო-სამეურნეო ორგანოებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს დაევალათ ფართოდ და გეგმაზომიერად განახორციელონ ორგანიზაციულ-სამეურნეო, აგროტექნიკურ, სატყეო-სამელიორაციო და ჰიდროტექნიკურ ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა კომპლექსი.

ადგილობრივ ნიადაგურ-კლიმატური პირობების მიხედვით, სადაც ეროზიის საწინააღმდეგო შესაბამის ღონისძიებათა ეფექტიანობა დაადასტურა მეცნიერებამ და პრაქტიკამ, რეკომენდებულია:

ქარისმიერი ეროზიის გავრცელების რაიონებში — ნიადაგსაცავი თესლბრუნვები და ნათესებისა და ანეულების ზოლური განლაგება, კულისები, ძლიერ ეროზიერებული მიწების გამდელობა. მრავალწლოვანი ბალახების ბუფერული ზოლები, თოვლშეკავება, ქვეშრობებისა და სოფლის მეურნეობისათვის გამოუსადეგარი სხვა მიწების შემაგრება და მოტყეევება, მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენება, აგრეთვე ნიადაგის გადაუბრუნებელი ხვნა და ნაწვრილის დატოვება მინდვრების ზედაპირზე, უმთავრესად, ყაზახეთის სსრ, დასავლეთ და აღმოსავლეთ ციმბირის უამრავი და ნასვენი მიწების რაიონებში და ვოლგისპირეთის ცალკეულ რაიონებში;

წყლისმიერი ეროზიის გავრცელების რაიონებში — ნიადაგის ხვნა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესვა ფერდობების გარდი-გარდმო, კონტურული ხვნა და ნიადაგის დამუშავების სხვა იმ წესების გამოყენება, რომლებიც ამცირებენ ზედაპირული წყლების ჩადინებას; ნიადაგსაცავი თესლ-ბრუნვები, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზოლური განლაგება, ციცაბო ფერდობების გამდელობა, მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენება, ხევების, ღელეების, ქვეშრობების, მდინარეებისა და წყალსატევების ნაპირების მოტყეევება, ეროზიის საწინააღმდეგო ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა (ვარდნილები, გუბურები, წყალსატევები, ლიმანები, ხევების კიდეების ჩამოწვინვა და სხვ.) მშენებლობა;

მთიან რაიონებში — ღვარცოფების საწინააღმდეგო ნაგებობათა მოწყობა, დატერასება, ფერდობების მოტყეევება და გამდელობა, პირუტყვის ძოვების რეგულირება, მთის ტყეების დაცვის ღონისძიებანი.

ამასთან რეკომენდებულია, რომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ხელმძღვანელებმა და საეციალისტებმა უწინარეს ყოვლისა განახორციელონ ყველაზე ხელმისაწვდომი და ეფექტიანი ეროზიის საწინააღმდეგო აგროტექნიკურ ღონისძიებათა სისტემა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებულია 1968-1970 წლებში განხორციელდეს მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენების სამუშაოები 324 ათას ჰექტარზე, ხევების, ღელეების, ქვეშრობისა და სხვა მოუმარჯვებელი მიწების გამაგრებისა და მოტყეევების სამუშაოები 827 ათას ჰექტარზე, ციცაბო ფერდობების დატერასების სამუშაოები 89 ათას ჰექტარზე, ეროზიისა და ღვარცოფის საწინააღმდეგო ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობის სამუშაოები, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 188 მილიონ მანეთს შეადგენს.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალათ ნიადაგის აქტიური ეროზიის კერების შემოწმებისა და გამოვლინების საფუძველზე ყოველწლიურად დაადგინონ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ეროზიერებული მიწების გამდელობის სამუშაოთა მოცულობა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შესაბამისი სამეცნიერო და საპროექტო ორგანიზაციების მონაწილეობით შეიმუშაონ და 1969 წლის 1 იანვრისათვის წარუდგინონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წინადადებანი რესპუბლიკებსა და ზონებში შემდგომი 10 წლის მანძილზე ეროზიის საწინააღმდეგო სამუშაოთა წარმოების შესახებ.

დადგენილებით განსაზღვრულია, რომ მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების სახსრებით, ხოლო საკავშირო დაქვემდებარების მეურნეობებში საკავშირო ბიუჯეტის სახსრებით, რომლებსაც სსრ კავშირის შესაბამისი სამინისტროები და უწყებები გამოყოფენ, სრულდება ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის შემდეგი სამუშაოები:

საპროექტო-საძიებო სამუშაოები, ნიადაგური და გეობოტანიკური შემოწმების ჩათვლით, მიწების აღრიცხვა, ინვენტარიზაცია და ხარისხის შეფასება, სატყეო-სამელიორაციო და ჰიდროტექნიკური ძიებანი, ტერიტორიის შიდასამეურნეო და მეურნეობათაშორისი ორგანიზაცია, რომელიც დაკავშირებულია ორგანიზაციულ-სამეურნეო, აგროტექნიკურ, სატყეო-სამელიორაციო და ჰიდროტექნიკურ ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებასთან;

მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენება, ხევების, ღელეების, მდინარეებისა და

(დასასრული მე-2 გვ.).

ქარისა და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის გაღაუდებელ ღონისძიებათა შესახებ

(დასასრული)

წყალსატევების ნაპირების, ქვაშრობისა და სხვა მომარჯვებული მიწების გამაგრება და მოტყეევება;

ფერდობების დატერასება, ეროზიის საწინააღმდეგო მიდროტექნიკურ და ღვარცოფის საწინააღმდეგო ნაგებობათა მშენებლობა;

მეურნეობათაშორისო მნიშვნელობის გუბურების, წყალსაცავებისა და ლიმანების მშენებლობა.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო „სოფლეკონომიკასთან", აგრეთვე სსრ კავშირის იმ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით, რომლებსაც ეკვემდებარებიან სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, ყოველწლიურად, 1968 წლიდან მოყოლებული განსაზღვრონ ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის სამუშაოთა მოცულობა, ფუნდები ასიგნებანი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, მუშაკთა რაოდენობა და ხელფასის ფონდი, რაც ამ სამუშაოთა შესრულებისთვისაა საჭირო და წინადადებანი ამ საკითხზე წარუდგინონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მიეცათ წინადადება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების წლიური გეგმების პროექტებში გაითვალისწინონ კაპიტალური დაბანდებანი სოფლის მეურნეობის ორგანოებისათვის, რათა საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სახოფლ.-სამეურნეო საწარმოებში განახორციელონ ეროზიისა და ღვარცოფის საწინააღმდეგო სამუშაოები (შექმნან მინდორსაცავი ტყის ზოლები, დაატერასონ ფერდობები, აშენონ ეროზიის საწინააღმდეგო მიდროტექნიკური და ღვარცოფის საწინააღმდეგო ნაგებობანი, გუბურები, წყალსაცავები, ლიმანები და შეასრულონ ამასთან დაკავშირებული საპროექტო-ხაძიები სამუშაოები) იმ კაპიტალურ დაბანდებათა ფარგლებში, რომლებიც გამოყოფილია „სოფლის მეურნეობის დარგით"; აგრეთვე გაითვალისწინონ მუშაკთა რაოდენობა და ხელფასის ფონდი, რაც საჭიროა ზემოაღნიშნულ ეროზიისა და ღვარცოფის საწინააღმდეგო სამუშაოთა შესასრულებლად.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს წინადადება მიეცეს დადგენილი წესით დამტკიცებულ სამუშაოთა მოცულობის საფუძველზე ოპერატიული ხარჯებისათვის ყოველწლიურად გამოუყოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან ასიგნებანი:

სოფლის მეურნეობის ორგანოებს — კოლმეურნეობებში სამეურნეობათაშორისო მნიშვნელობის გუბურების, წყალსაცავებისა და ლიმანების მშენებლობის სამუშაოებისათვის, მინდორსაცავი ტყის ზოლების შექმნისათვის, ფერდობების დატერასებისათვის, ეროზიის საწინააღმდეგო მიდროტექნიკურ და ღვარცოფების საწინააღმდეგო ნაგებობათა მშენებლობისათვის, აგრეთვე ამასთან დაკავშირებულ საპროექტო-ხაძიები სამუშაოთა შესრულებისათვის;

საბჭოთა მეურნეობის ორგანოებს — ბევრებში, ღელეებში, მდინარეებისა და წყალსატევების ნაპირებზე ეროზიის საწინააღმდეგო ტყის ნარგავთა შექმნის სამუშაოთა, ქვაშრობებისა და სხვა მოსამარჯვებელი მიწების მოტყეევების სამუშაოთა განხორციელებისათვის, აგრეთვე ამასთან დაკავშირებულ საპროექტო-ხაძიებო სამუშაოთა შესრულებისთვის.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საკავშირო სახელმწიფო კომიტეტსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაეკალათ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო „სოფლეკონომიკასთან", აგრეთვე სსრ კავშირის იმ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით, რომლებსაც ექვემდებარებიან სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, ყოველწლიურად, 1968 წლიდან მოყოლებული განსაზღვრონ ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის სამუშაოთა მოცულობა, ფუნდები ასიგნებანი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, მუშაკთა რაოდენობა და ხელფასის ფონდი, რაც ამ სამუშაოთა შესრულებისთვისაა საჭირო და წინადადებანი ამ საკითხზე წარუდგინონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მიეცათ წინადადება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების წლიური გეგმების პროექტებში გაითვალისწინონ კაპიტალური დაბანდებანი სოფლის მეურნეობის ორგანოებისათვის, რათა საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სახოფლ.-სამეურნეო საწარმოებში განახორციელონ ეროზიისა და ღვარცოფის საწინააღმდეგო სამუშაოები (შექმნან მინდორსაცავი ტყის ზოლები, დაატერასონ ფერდობები, აშენონ ეროზიის საწინააღმდეგო მიდროტექნიკური და ღვარცოფის საწინააღმდეგო ნაგებობანი, გუბურები, წყალსაცავები, ლიმანები და შეასრულონ ამასთან დაკავშირებული საპროექტო-ხაძიები სამუშაოთა) იმ კაპიტალურ დაბანდებათა ფარგლებში, რომლებიც გამოყოფილია „სოფლის მეურნეობის დარგით"; აგრეთვე გაითვალისწინონ მუშაკთა რაოდენობა და ხელფასის ფონდი, რაც საჭიროა ზემოაღნიშნულ ეროზიისა და ღვარცოფის საწინააღმდეგო სამუშაოთა შესასრულებლად.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს წინადადება მიეცეს დადგენილი წესით დამტკიცებულ სამუშაოთა მოცულობის საფუძველზე ოპერატიული ხარჯებისათვის ყოველწლიურად გამოუყოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან ასიგნებანი:

სოფლის მეურნეობის ორგანოებს — კოლმეურნეობებში სამეურნეობათაშორისო მნიშვნელობის გუბურების, წყალსაცავებისა და ლიმანების მშენებლობის სამუშაოებისათვის, მინდორსაცავი ტყის ზოლების შექმნისათვის, ფერდობების დატერასებისთვის, ეროზიის საწინააღმდეგო მიდროტექნიკურ და ღვარცოფების საწინააღმდეგო ნაგებობათა მშენებლობისათვის, აგრეთვე ამასთან დაკავშირებულ საპროექტო-ხაძიები სამუშაოთა შესრულებისთვის;

საბჭოთა მეურნეობის ორგანოებს — ბევრებში, ღელეებში, მდინარეებისა და წყალსატევების ნაპირებზე ეროზიის საწინააღმდეგო ტყის ნარგავთა შექმნის სამუშაოთა, ქვაშრობებისა და სხვა მოსამარჯვებელი მიწების მოტყეევების სამუშაოთა ჩატარებისათვის, აგრეთვე ამასთან დაკავშირებულ საპროექტო-ხაძიებო სამუშაოთა შესრულებისთვის.

ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა დაპროექტებისას რეკომენდდებულია გაითვალისწინონ მათი განხორციელება ერთდროულად მთელი წყალსაკრებების ან წყლის თუ ქარისმიერი ეროზიის რაიონების ფარგლებში, ისე რომ არ დაიქნაქსოს სახსრები ბევრ ობიექტზე.

დადგენილია, რომ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები საკუთარი ძალებითა და სახსრებით ასრულებენ ეროზიის საწინააღმდეგო ყველა აგროტექნიკურ ღონისძიებებს, ხოლო თუ საშუალება ექნათ ეროზიის საწინააღმდეგო სხვა სამუშაოებსაც, მათ შორის ქმნიან საცავ ტყის ნარგავებს და უმარტივეს მიდროტექნიკურ ნაგებობებს, და ითვალისწინებენ ამას საწარმოო ფინანსურ გეგმებში.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს უფლება ეძლევა მისცეს კოლმეურნეობებს კრედიტი დამტკიცებული გეგმებით გათვალისწინებული ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების განსახორციელებლად, აგრეთვე ეროზიის საწინააღმდეგო ტექნიკის შეძენის ხარჯებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათმოწყობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტებისა და მიწათმოწყობის ექსპედიციების ძალებით და წყალსამეურნეო მშენებლობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და სატყეო მეურნეობის საპროექტო ინსტიტუტის, აგრეთვე შესაბამის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მონაწილეობით უზრუნველყოს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ტერიტორიათა ორგანიზაციის მეცნიერულად დასაბუთებული პროექტების შემუშავება, ისე რომ გაითვალისწინონ ნიადაგთა ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციულ-სამეურნეო, აგროტექნიკურ, სატყეო-სამელიორაციო და მიდროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი. ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა დაპროექტებისას რეკომენდდებულია გაითვალისწინონ მათი განხორციელება ერთდროულად მთელი წყალსაკრებების ან წყლის თუ ქარისმიერი ეროზიის რაიონების ფარგლებში, ისე რომ არ დაიქნაქსოს სახსრები ბევრ ობიექტზე.

დადგენილია, რომ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები საკუთარი ძალებითა და სახსრებით ასრულებენ ეროზიის საწინააღმდეგო ყველა აგროტექნიკურ ღონისძიებებს, ხოლო თუ საშუალება ექნათ ეროზიის საწინააღმდეგო სხვა სამუშაოებსაც, მათ შორის ქმნიან საცავ ტყის ნარგავებს და უმარტივეს მიდროტექნიკურ ნაგებობებს, და ითვალისწინებენ ამას საწარმოო ფინანსურ გეგმებში.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს უფლება ეძლევა მისცეს კოლმეურნეობებს კრედიტი დამტკიცებული გეგმებით გათვალისწინებული ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების განსახორციელებლად, აგრეთვე ეროზიის საწინააღმდეგო ტექნიკის შეძენის ხარჯებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები ხელმძღვანელობენ ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, აგრეთვე სახელმწიფო მარაგის მიწებზე და ეკისრებათ პასუხისმგებლობა შესაბამის ორგანიზაციულ-სამეურნეო და აგროტექნიკურ ღონისძიებათა შესრულებისათვის.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა შესაბამისი მეურნეობისათვის გამოყოფილი მიწების სწორად გამოყენებისათვის, ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელებისათვის, საცავი ტყის ნარგავების და ამ მიწებზე აშენებულ ეროზიის საწინააღმდეგო ნაგებობათა მოვლისათვის.

სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო „სოფლეკონომიკასა" ორთაობა „საკსოფლტექნიკა" მოვალენი არიან თავიანთი საქვეუწყებო ორგანიზაციების ძალებით შეასრულონ ფერდობების დატერასების, ეროზიის საწინააღმდეგო მიდროტექნიკურ და ღვარცოფების საწინააღმდეგო ნაგებობათა, აგრეთვე გუბურების, წყალსატევებისა და ლიმანების მშენებლობის სამუშაოები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს წინადადება მიეცა უზრუნველყოს მინდორსაცავი ტყის ზოლების შექმნის, ნაგების, ღელეების, ქვაშრობებისა და სხვა მოუმარჯვებელი მიწების მოტყეევების სამუშაოთა ძირითადი მოცულობის შესრულება ზოლიური სახალხო-სამეურნეო გეგმების შესაბამისად, აგრეთვე სანერგე მასალის გამოყენება იმ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც საცავ ტყის ნარგავებს ქმნიან საკუთარი ძალებითა და სახსრებით.

დადგენილია, რომ სამელიორაციო და სატყეო-სამეურნეო ორგანოები და „სოფლეკონომიკის" ორგანიზაციათა რაზმები ფერდობების დატერასების, ეროზიის საწინააღმდეგო მიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობისა და მინდორსაცავი ტყის ნარგავების გაშენების საშუშაოებს აწარმოებენ რაიონულ სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებთან, აგრეთვე კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებთან დადებული ხელშეკრულებებით.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაეკალა სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო „სოფლეკონომიკასთან" ერთად შეიმუშაოს და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დაამტკიცოს ზემოაღნიშნულ სამუშაოთა წარმოების ტიპობრივი საინჟინრო ხელშეკრულება.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო „სოფლეკონომიკას" დაეკალათ განამტკიცონ არსებული სატყეო მეურნეობის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ეროვნული ეკონომიკის, ბუნებრივი რესურსებისა და ეროვნული ეკონომიკის ინსტიტუტების

• იაკობ ნიკოლაძის დაბადების 90 წლისთავი •

საბჭოთა ჩუქურთმის მჭრელი

იაკობ ნიკოლაძე •

დიდი ქართველი მოქანდაკე

იაკობ ნიკოლაძის შემოქმედება თვალსაჩინო მოვლენაა ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების ისტორიაში. მისი მხატვრული მემკვიდრეობის განაოცარი დიაპაზონი, მრავალმხრივობა, შინაარსის სიღრმე, ასახვის შთამაგონებელი ძალა, დახვეწილი გემოვნება ჭეშმარიტად წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე. ი. ნიკოლაძის სახელთან განუყრელად დაკავშირებულია ქართული ქანდაკების პირველი ნაბიჯები, მისი განაოცარი აღმავლობა. მაშინ როცა ახალ ქართულ ფერწერას გარკვეული მემკვიდრეობითი ტრადიცია აკავშირებს ადრეული პერიოდის ქართულ ხელოვნებასთან, ახალი ქართული ქანდაკება ძველი ქართული პლასტიკის მხატვრული ტრადიციებისაგან სრულიად დამოუკიდებლად ვითარდება. იაკობ ნიკოლაძის შემოქმედება, მრავალსაუკუნოვანი დუმილის შემდეგ, ქართული პლასტიკის პირველი სიტყვაა.

ქართული ქანდაკება განვითარების მაღალ დონემდე რომ აიყვანა, ი. ნიკოლაძემ შექმნა მოქანდაკეთა ქართული სკოლა, აღზარდა არაერთი თაობა ნიჭიერ მოქანდაკეთა, რომელთაგან ზოგმა საგულისხმო დამსახურებულად საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

იაკობ ნიკოლაძემ მეტად საინტერესო და თავისებური ძიების გზა განვლო, რომელიც აღბეჭდილია შემოქმედებითი მღელვარებით, დაძაბული ძიებით, დაუღალავი შრომით. მხატვრის შემოქმედების დაკვირვების დიდი უნარი, დახვეწილი გემოვნება, სინამდვილის შინაგანი არსის გამოვლინება ახასიათებს. იგი ყოველთვის ეძებს ახალს, ცდილობს შეიმუშაოს საკუთარი მანერა. დიდი ოსტატის მხატვრული შემოქმედების გულდასმითი შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს თვალი გავადევნოთ, როგორ ვითარდებოდა მისი ხელოვნება, როგორი იყო მისი ხელოვნების ესთეტიკური პრინციპები.

იაკობ ივანეს-ძე ნიკოლაძე დაიბადა 1876 წელს ქ. ქუთაისში. იქვე მიიღო პირველდაწყებითი განათლება, რომელიც მან განაგრძო ბათუმის სახელოსნო სახსწავლებელში. ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1892 წელს თავისი ძმის რჩევით მიემგზავრება მოსკოვს და სწავლობს სტროგანოვის სასწავლებელში. მოსკოვში ყოფნის დროს ი. ნიკოლაძე საფუძვლიანად გაეცნო მოსკოვის მუზეუმებში დაცულ ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებს, გაამდიდრა თავისი ცოდნა ხელოვნების თეორიისა და ისტორიის სფეროში. 1894 წელს იგი გადავიდა ოდესაში, მოწაფედ შევიდა იქაურ სამხატვრო სასწავლებელში.

უკვე ოდესაში ყოფნის დროს იაკობ ნიკოლაძემ საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება თავის ძირითად სპეციალობად მოქანდაკეობა აერჩია. ორი წლის შემდეგ დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში და უკვე დამოუკიდებელი მუშაობა დაიწყო. ამ ხანებში იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს ქუთაისის კულტურულ ცხოვრებაში, გაატაცებულია ქართული თეატრით, რომელსაც იმ დროს ხელმძღვანელობდა ჩვენი დიდი ქართველი მხახიობი ლადო ალექსი-მესხიშვილი. იმდროინდელი ქუთაისის თეატრი ქართველი ხალხის სანუკვარ მისწრაფებათა გამომხატველი, ქართული ენის სიწმინდის დამცველი და, რაც მთავარია, რევოლუციური იდეების გამავრცელებელი ერა იყო. დამწყები მოქანდაკე ნატურიდან ძერწავს ლადო მესხიშვილის პორტრეტს, რომელიც მკაფიოდ გვიჩვენებს გამოჩენილი მსახიობისა და მგზნებარე ტრიბუნის შთამაგონებელ სახეს. საერთოდ, ახალგაზრდა მოქანდაკის ადრინდელ ნაწარმოებებში ნათლად გამოშუღავნდა დიდი ნიჭის ის მხატვრული თავისებურება და შინაგანი ძალა, რამაც მკაფიო გამოხატულება ჰპოვა ი. ნიკოლაძის შემდგომ შემოქმედებაში.

პირველი დიდი წარმატების შემდეგ ი. ნიკოლაძემ გადაწყვიტა შეექმნა ქართული მწერლობისა და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეთა სკულპტურული პორტრეტების სერია. აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული თემა წითელ ზოლად გასდევს იაკობ ნიკოლაძის შემოქმედებითი განვითარების გზას. ის ძერწავს ჩვენი დიდი პოეტის აკაკი წერეთლის პორტრეტს (ბარელიეფი). ქართული კულტურის ჭეშმარიტ სიამაყეს დიდ რუსთაველს, 1897 წელს გამოფენაზე ამ ორ ნაწარმოებს ქართული პრესა და საზოგადოება დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ. 1899 წელს ი. ნიკოლაძე გაემგზავრა საფრანგეთში და შევიდა პარიზში კაზმული ხელოვნების უმაღლეს სასწავლებელში.

საფრანგეთის დედაქალაქში იგი დაძაბულად მეცადინეობდა. ლუვრის მუზეუმში სწავლობდა ანტიკური ქანდაკების მსოფლიო მნიშვნელობის ნიმუშებს. გულმოდგინედ ეცნობოდა სათანადო ლიტერატურას ხელოვნების ისტორიიდან და თეორიიდან. საქართველოს მოშორებული, შემოქმედებითი შრომით გატაცებული იაკობ ნიკოლაძე მუდამ ფიქრობდა საყვარელ სამშობლოზე. მის მხატვრულ შთაგონებას მშობლიური ქვეყნის სახეები ასაზრდოებდნენ, 1900 წელს მან გამოაქანდაკა ნევსური პორტრეტული გამოსახულება, აღბეჭდილი რაინდული სულისკვეთებით, პოეტურობით.

1901 წელს ი. ნიკოლაძე მოკლე ხნით დაბრუნდა სამშობლოში. დიდი გატაცებით მუშაობდა პორტრეტული ხელოვნების დარგში. შექმნა გასაოცარი მხატვრული ოსტატობით და თავისებური იდეური გააზრებით გამორჩეული პორტრეტები: ვასო აბაშიძის (1902 წ.), კოტე მესხის (1902 წ.) და შიო არაგვისპირელისა (1902 წ.).

1904 წელს ი. ნიკოლაძე რამდენიმე თვით მოგზაურობს იტალიაში, გულდასმით ეცნობა აღორძინების ხანის დიდი იტალიელი ოსტატების მხატვრულ შემოქმედებას. შემდეგ ი. ნიკოლაძე დაბრუნდა ისევ საფრანგეთის დედაქალაქში, სადაც დაუახლოვდა სახელგანთქმულ ფრანგ მოქანდაკეს ოგიუსტ როდენს, რომელმაც იგი მიიწვია სამუშაოდ თავის სახელოსნოში. იაკობ ნიკოლაძემ ღრმად შეისწავლა და გაიგო ამ სახელმოხვეჭილი მოქანდაკის მხატვრული ხერხების და შესრულების მანერის საიდუმლოება. როდენთან მუშაობამ იაკობ ნიკოლაძეს შესაძლებლობა მისცა გაეღრმავებინა და დაეხვეწა თავისი ოსტატობა. სრულყოფილი გაეხადა ქვის, მარმარილოს დამუშავების თავისი საკუთარი ხერხები, შეესწავლა მასალის ფაქტურის მხატვრული გამოყენების წესები. ი. ნიკოლაძემ გამოიმუშავა ქანდაკების ზედაპირის მოდელირების საკუთარი მანერა, რომელიც არსებითად ეწინააღმდეგება როდენისათვის დამახასიათებელ მოდელირების იმპრესიონისტულ მანერას. აღნიშნული განსხვავება ორივე ოსტატის მხატვრულ-სტილისტურ ხერხებს შორის მკაფიოდ ჩანს სწორედ იმ ნაწარმოებებში, რომლებიც შექმნა იაკობ ნიკოლაძემ პარიზში ყოფნის დროს. ასეთებია: სალომეა (მარმარილო, 1906 წ.), ჩრდილოეთის ასული (მარმარილო, 1906 წ.), ქალი იასამნის ქვეშ (ბრინჯაო, 1908 წ.). ყველა აქ ჩამოთვლილი ნაწარმოები ავტორის მხატვრულ დამოუკიდებლობასა და მის შემოქმედებითს სიმწიფეზე მეტყველებს. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში ერთ დროს გამოთქმული იყო შეხედულება, თითქოს ნიკოლაძის შემოქმედებას კამერულ-სალონური ხასიათი ჰქონდა. ეს შეხედულება არსებითად მცდარია, ეწინააღმდეგება ჩვენი დიდი მოქანდაკის მხატვრული შემოქმედების შინაგან რობას, ღრმა იდეურ შინაარსს.

1908 წელს იაკობ ნიკოლაძე საქართველოში დაბრუნდა. საზღვარგარეთიდან სამშობლოში დაბრუნებისთანავე იგი უფრო მჭიდროდ, ვიდრე წინათ, დაუახლოვდა ქართველ მხატვართა იმ ჯგუფს, რომელიც გიგო გაბაშვილის და ალექსანდრე მრევლიშვილის მეთაურობით დაუცხრომლად იბრძოდა ქართული ეროვნული ხელოვნების შექმნისათვის და განუხრელად ისწრაფოდა განემტკიცებინა მისი რეალისტური ტრადიციები. ი. ნიკოლაძის ჩადგომას ასეთ მხატვართა რიგში დიდი სიხარულით მიესალმა საქართველოს მოწინავე საზოგადოებრიობა. მას ეგნატე ნინოშვილმა აღწერა არა როგორც ნეიტრალურმა, გულგრილმა მეთვალყურემ, არამედ როგორც მშრომელი გლეხობის ერთგულმა მოსარჩლემ.

ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებითი ინდივიდუალობის დამახასიათებელი თვისებები მთლიანად ასახულია ი. ნიკოლაძის მიერ ე. ნინოშვილის პორტრეტულ ქანდაკებაში. გამოჩენილი მწერლის პირისახის შესრულების მანერა, პოზის სასადავე, ხელების განლაგება დამახასიათებელია გლეხობის წრიდან გამოსული დემოკრატი მწერლისათვის, რომელიც თავდადებით იბრძოდა სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ. ყველა ამ ღირსების გარდა, ე. ნინოშვილის ბიუსტი ზუსტი პორტრეტული მსგავსებითაც გამოირჩევა.

სულ სხვა მხატვრულ ასპექტში აქვს გახსნილი ი. ნიკოლაძეს ჩვენი დიდი პოეტის აკაკი წერეთლის სახე (ქვა, 1914 წ.). დიდი ქართველი პოეტის მხატვრული შემოქმედება, მრავალრიცხოვანი კრიტიკული წერილები, შეხედულებანი და ესთეტიკური მრწამსი გამსჭვალულია ხალხისადმი განუსაზღვრელი სიყვარულით. დიდი მგოსანი ამტკიცებდა, რომ ხალხური სიტყვიერება უნდა იყოს მწერლის შთაგონების უშრეტი წყარო, რომ მისი ნაწარმოები მართებულად უნდა ასახავდეს ხალხის ცხოვრებას, მის მისწრაფებებს.

ილია ჭავჭავაძესთან ერთად აკაკი წერეთელი ის ერთ-ერთი მწერალი იყო, რომელმაც ქართული ლიტერატურა ნამდვილი ხალხური ენით აამეტყველა. ბევრი ქართული ხალხური სიმღერა, ხალხური მელოდია შექმნილია აკაკი წერეთლის ლექსების ტექსტზე; მრავალი მისი ლექსი გადაიდო თაობიდან თაობაში და ახლაც ისე ეყრდნო როგორც თვით ხალხის მიერ შექმნილი სიმღერები.

აკაკი წერეთლის პორტრეტის სახით ჩვენმა სახელოვანმა მოქანდაკემ შექმნა სრულყოფილი მხატვრული ნაწარმოები, რომელიც დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს გამოსახვის მხატვრული ხერხების ქმედითი ძალით.

ჩვენ წინ დგას ხანში შესული სახალხო პოეტი; ჭაღარით მოსილი მოხუცის სიდიადე ჭეშმარიტად გამოხატავს ქართველი ხალხის სულიერ ძლიერებას, მრავალსაუკუნოვან სიბრძნეს.

დიდი ილიას პორტრეტული გამოსახულება (ქვა, 1939 წ.) შესრულებულია ი. ნიკოლაძის მიერ განსხვავებული გააზრებით, ავრცოვე გასაოცარი ოსტატობით. ჩვენს წინაშე წარმოდგენილია დიდი მოაზროვნე და მწერალი, მტაცე ნებისყოფის ადამიანი, თავდადებული მებრძოლი, ერის იდეური წინამძღოლი.

იაკობ ნიკოლაძის მიერ შესრულებული ქანდაკებანი აკაკი წერეთლის და ილია ჭავჭავაძისა შექმნილია რეალისტური ხელოვნების მხატვრული ტრადიციების მიხედვით სწორედ იმ პერიოდში, როცა ფეხს იკიდებდა დეკადენტური მიმდინარეობანი. ი. ნიკოლაძე მუდამ იდგა ჯანსაღ რეალისტურ პოზიციებზე. მიხვთან ყოველთვის უცხო და მიუღებელი იყო ყოველგვარი ფორმალისტური გადახრა, რა ხასიათისაც უნდა ყოფილიყო იგი.

ფსიქოლოგიური განწყობილების სიღრმით, ეშმარიტი პოეტური ხილვით და შეგრძნებით აღჭურვილია დიდი ქართველი პოეტის და მოაზროვნის შთა რუსთაველის სახე ი. ნიკოლაძის შემოქმედებაში. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე მას ყოველთვის აელესებდა და იზიდავდა დიდი რუსთაველის სახე. თავისი სიცოცხლის მანძილზე მან შექმნა დიდი პოეტის რამდენიმე პორტრეტული ბიუსტი, სხვადასხვა ზომის ბარელიეფი. თვითეული ნაწარმოები აღბეჭდილია ჭეშმარიტი ძიებით და დიდი პოეტური ხილვით.

ი. ნიკოლაძემ შექმნა თამარ მეფის ხანის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენლის დიდი პოეტის და მოაზროვნის ჩახრუხაძის სახე (მარმარილო, ბრინჯაო, 1948 წ.). ცნობილია, რომ ჩახრუხაძის პორტრეტული გამოსახულება არ შენახულა. ი. ნიკოლაძე ამ ქანდაკების შექმნისათვის მთლიანად საკუთარ წარმოდგენას, პოეტურ ხილვას ემყარებოდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან იწყება იაკობ ნიკოლაძის დიდი ნიჭის ჭეშმარიტი აყვავება. საბჭოთა ხალხის დაძაბული, მჩქეფარე შემოქმედებითს ცხოვრებაში ი. ნიკოლაძემ დაინახა ახალი ადამიანის სულიერი სიმდიდრე, გმირული სულისკვეთება, ზნეობრივი სიფაქიზე, სიმტკიცე და კეთილშობილება. ამ პერიოდში შესრულებული პორტრეტებიდან დიდი მხატვრული ოსტატობით გამოირჩევა ე. წ. დიადი ჭაბუკის ბიუსტი (მარმარილო, 1940 წ.), რომელიც აოცებს ადამიანს შინაგანი ძალით, მეტყველი სახით. ჭაბუკის მზერა პირდაპირი, მხნე და მამაცურია. კომპოზიცია გამოირჩევა ლაკონიურობით და შთამაგონებელი ძალით.

ი. ნიკოლაძის შემოქმედების განვითარების ახალი ეტაპის მწვანეკვალე მაჩვენებელია პორტრეტული ქანდაკება „ლენინი „ისკრის“ პერიოდში“ (1947 წ.). ეს ქანდაკება ემყარება როგორც ფოტოდოკუმენტურ მასალას, ისე პირად შთაბეჭდილებას. ქანდაკებაში მთელი უურადღება კონცენტრირებულია სახეზე, რომელიც შესრულებულია დიდი ოსტატობითა და შთაგონებული ძალით. ლენინის პორტრეტული გამოსახულება, რომელიც ი. ნიკოლაძემ შექმნა 1926 წელს (მარმარილო, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი), გამოირჩევა დიდი შინაგანი ძალით, ფსიქოლოგიური განწყობილების მკვეთრი ასახვით, მაღალი პროფესიული ოსტატობით. თამამად შეგვიძია ვთქვათ, რომ ეს უკანასკნელი ნაწარმოები უძლიერესია არა მხოლოდ ი. ნიკოლაძის ნაწარმოებთა შორის, არამედ საბჭოთა კავშირის ოსტატების მიერ შექმნილ დიდი ლენინის პორტრეტულ გამოსახულებათა შორის.

საბჭოთა სინამდვილის ზეგავლენით იაკობ ნიკოლაძის შემოქმედება მკაფიო იდეურ მიმართულებას იღებს და ახალი შინაარსით მდიდრდება. ი. ნიკოლაძის შემოქმედება ქართველი ხალხის სიამაყეს წარმოადგენს. იგი კაცობრიობის მხატვრული კულტურისა და ხელოვნების საგანძურს ეკუთვნის.

შალვა ამირანაშვილი.



ჩახრუხაძე



ილია



აკაკი

მამულიშვილი

საქართველოს ხელოვნების ისტორიაში ფერწერას უფრო მეტი და მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, ვიდრე ქანდაკებას. ჩვენი მონასტრების და ეკლესიების მხატვრული გაფორმება თავისი სისადავით, ფერთა მეტყველებით, კომპოზიციითა და საერთოდ შესრულების ოსტატობით დღესაც იწვევს ფერწერის მცოდნეთა გაკვირვებას.

ქანდაკებას ასეთი დიდი წარსული ჩვენში არა აქვს. ჩემი აზრით ქანდაკების განვითარებას საქართველოში სხვა მიზეზებთან ერთად ხელი შეუშალა რელიგიამ. მართალია შორეულ წარსულში იყო ცდები ქანდაკების ჟანრში, მაგრამ ადამიანს ქართული ქანდაკების ისტორიაში ვერ ვხედებთ. ადამიანის სახის გამოძერწვას ჩვენში ქრისტიანობა კერპთაყვანისმცემლობის ერთ-ერთ ჯამოვლინებად თვლიდა და დევნიდა.

ცხადია, მყარი ტრადიციის უქონლობა ქანდაკების განვითარებას დიდად უშლიდა ხელს და ამიტომ იმ პირველ მოქანდაკეებს, რომლებიც გაუკვალავი გზით მიდიოდნენ, ბევრი წინააღმდეგობა და სიძნელე უნდა გადაელახათ.

იაკობ ნიკოლაძემ თავისი დიდი ნიჭიერებით ეს გააკეთა. მან მოგვცა სკულპტურის ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც დღეს მსოფლიო შედევრების გვერდით შეიძლება დავაყენოთ.

ჯერ კიდევ საზღვარგარეთ ყოფნისას, მაშინ როცა გენიალურ ფრანგ მოქანდაკე როდენთან იყო დაახლოებული როგორც მისი მოსწავლე, მან შექმნა ისეთი სკულპტურული პორტრეტი, რომელმაც საქართველოს ხელოვნების მოყვარულნი ერთხმად აალაპარაკა.

უფრო გვიან, უკვე ჩამოყალიბებულმა მოქანდაკემ იაკობ ნიკოლაძემ შექმნა ჩახრუხაძისა და აკაკი წერეთლის სკულპტურული პორტრეტები, რომლებმაც საყოველთაო აღიარება ჰპოვეს.

ქართველი მხატვრები არასოდეს არ დაიკიწყებენ იმ დიდ ღვაწლსა და ამაგს, რომელიც იაკობ ნიკოლაძემ დასდო ეროვნული კადრების სამჭედლოს — ქართული სამხატვრო აკადემიის ჩამოყალიბებას. იაკობ ნიკოლაძემ გიორგი ჩუბინაშვილთან ერთად დააარსა აკადემია, ამით საფუძველი ჩაუყარა ქართულ სამხატვრო პროფესიულ პედაგოგიას.

დიდია ღვაწლი იაკობ ნიკოლაძისა ქართული ხელოვნების წინაშე და ჩვენც ქართველი მხატვრები დიდი მოქანდაკის საიუბილეო დღეს კიდევ ერთხელ სიამოვნებით მოვიგონებთ ამ დიდ შემოქმედსა და მამულიშვილს.

ნიკოლოზ კანდელაკი,
საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი.

დღეს, ხვალ

დღეს, 2 აპრილს, 1 საათზე საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაში გაიხსნება იაკობ ნიკოლაძის ნაწარმოებთა გამოფენა.

დღესვე, 3 საათზე, საქართველოს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა თეატრმნდის პანთეონს, სადაც დასაფლავებულია იაკობ ნიკოლაძე, აწყობენ დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ხვალ, 3 აპრილს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართება იაკობ ნიკოლაძის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომელსაც შესავალი სიტყვით გახსნის საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის თავმჯდომარე ზურაბ ლეშავა.



3. ი. ლენინი „ისკრის“ პერიოდში

ხელოვანი, მოქალაქე

ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მოწაფე ვიყავი, იაკობ ნიკოლაძის ქნილობები რომ მხიბლავდა, ძალელებდა და მოაცებდა. ვოცხებობდი ვყოფილიყავი ამ უდიდესი ხელოვანის მოწაფე. და აი 1924 წელს მხვდა დიდი ბედნიერება. ოცნება სინამდვილედ გადამექცა — გავხდი ქართული ქანდაკების ფუძემდებლის, დიდოსტატის, პლასტიკური ხელოვნების ჯადოქრის იაკობ ნიკოლაძის მოწაფე.

იაკობ ნიკოლაძე ისეთი დიდი ხელოვანი იყო, რომ შეეძლო მოსწავლეებში დაეხთო შემოქმედების ჩაუქრობელი ლამპარი. ჩვენ, მისი მოწაფეები, ბედნიერი ვიყავით, რომ ვუსმენდით მას და ვმუშაობდით მისი ხელმძღვანელობით. ი. ნიკოლაძე იყო წარმტაცი შემოქმედი ხელოვანი, ბრწყინვალე პედაგოგი და დიდი მოქალაქე.

მისი ხელოვნება ერის სულიერი სამყაროს ერთ-ერთი სიმდიდრე და სიამაყეა. ილიას, აკაკის, ეგნატეს. ჩახრუხაძის და ჩვენი სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის პორტრეტები პლასტიკური ხელოვნების ნამდვილი ძეგლებია.

კოტე მერაბიშვილი,
საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი.

უკვდავთა შორის

როდესაც ადიხარ მთაწმინდის პანთეონში, სადაც განისვენებენ თავდადებული ქართველი მოღვაწეები, მძიმე სიზმრად გახსენდება ჩვენი წარსული, როდესაც იდევნებოდა ქართულ ენა და კულტურა, იდევნებოდნენ ქართველი მოღვაწენი და მებრძოლი მუშები. ცისე და კატორღა, გადასახლება და სიკვდილი, წიწამური და ციმბირი — აი მათი ხვედრი უწინ.

სწორედ იმ დროს, ამ ნახევარი საუკუნის წინათ, ერთ სუსხიან ზამთრის დღეს ვეხტუმრე თავის სახელოსნოში ჩემს მეგობარს და მეზობელს იაკობ ნიკოლაძეს. სახელოსნო საყინულეს ჰგავდა.

— რატომ ღუმელს არ დაიდგამთ?

— შეგვიეთხე მორიდებით.

— ღუმელი რათ მინდა, როცა საწვავი არა მაქვს.

შეკითხვაზე, არის თუ არა საქართველოში მის გარდა კიდევ რომელიმე მოქანდაკე, სიცივისაგან აძაგძაგებულმა ხუმრობით მიპასუხა:

— ასლა ჩვენთან ხელოვნების დარგში ისეთი უმუშევრობაა, რომ თუ საქართველოში კიდევ ერთი მოქანდაკე გამოჩნდა, მაშინ ერთი ჩვენგანი შიმშილის შიშით წყალში უნდა გადავარდეს.

ეს იყო წინათ. მაგრამ ეი საქართველოში ამობრწყინდა ოქტომბრის მზე და ჯაფურჩქნა ჩვენი ქვეყანა.

მოვეკურცხლეთ დიდებულ დროს, როდესაც სხვა დარგებთან ერთად ასე ფართოდ განვითარდა მეცნიერება და ხელოვნება, როდესაც ჩვენში მოქანდაკე ერთი კი არა, მრავალია და... წყალში გადავარდნა არავისა სჭირდება.

მოვესწარით დროს, როდესაც საზოგადო მოღვაწეებს — მეცნიერებს, მწერლებს, ხელოვნების ოსტატებს ვუმართავთ საზეიმო შეხვედრებს, ხოლო აღსრულებულთ, საშშობლოს წინაშე ვალმოხდილ მოღვაწეებს ვიბარებთ მშობლიურ მიწას პანთეონებში. და ამ უკვდავთა შორის ღირსეულად დაიმკვიდრა საკანი ხელოვანმა, რომლის თვით ცხოვრება და მოღვაწეობა სამაგალითო და მისაბაძია. შვიდი წლის ობლად დარჩენილმა იაკობმა თავისი ნიჭით და დაუღალავი შრომით თვითონ გაიკაფა გზა ხელოვნების უმაღლესი მწვერვალებისაკენ.

მისი დამსახურება საშშობლოს წინაშე არ განისაზღვრება მარტო ხელოვნებით, არ განისაზღვრება მარტო იმით, რომ მან აღზარდა ნიჭიერი მოქანდაკენი. არც იმით, რომ დაგვიტოვა ხელოვნების შესანიშნავი ნაშუშევრები.

მთელი თავისი დაუცხრომელი, დაუღალავი, თავდადებული შრომით ხელოვანი თითქო გვეუბნება:

— თუ ბედი გწყალობთ, იბრძოლეთ! თუ არა გწყალობთ... მაინც იბრძოლეთ! იმუშავეთ, იშრომეთ მშობლიური ერის საკეთილდღეოდ.

ჭეშმარიტად მართებულად უთქვამს დიდ პოეტს:

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი
მკვდარსა ეშსაგესოს,
ოყოს სოფელში და სოფლისთვის
არა იზრუნოს!“

ერეკლე ლუკაშვილი.

ერის სასიქადულო მოქანდაკე

მხატვრის იაკობ ნიკოლაძის სახელს მადლიერი ერი არ დაივიწყებს საუკუნეების მანძილზე.

ჩემი პატარა მოგონებით ვინდა მოგითხროთ ნიკოლაძეზე, როგორც ადამიანზე, მის ზოგიერთ დამახასიათებელ თვისებაზე.

ცნობილია, რომ იაკობს არ ემარჯვებოდა საჯარო გამოსვლები. სამაგიეროდ, კერძო საუბრებში ძალიან ენამახვილი, სხარტი და ლაკონური იყო.

მაგონდება ასეთი შემთხვევა: ერთ-ერთმა მოქანდაკემ (იაკობ ნიკოლაძის მოწაფემ) მიიღო შეკვეთა კომპოზიციურ ქანდაკებაზე. ქანდაკების შესრულებისას ავტორმა ვერ განსაზღვრა მისი სიმაღლე, ამიტომ მოუხდა სახელოსნოს სახურავის ახსნა. ქანდაკების ნაწილი, კერძოდ თავი და გაშლილი ხელი დარჩა გარეთ, მუშაობა სახელოსნოს სახურავზე უხდებოდა. აი როგორც იქნა ნამუშევარი დაამთავრა. საჭირო იყო მისი მიღება. კომისია, რომლის შემადგენლობაში იყო იაკობი, მიეიდა ქანდაკების მისაღებად. იაკობმა პირდაპირ არაფერი არ უთხრა ავტორს ნამუშევრის ავკარგზე, და ისე, ვითომ სასხვათაშორისოდ, თქვა:

— შვილო, მე შენ გასწავლე პატარა აბაზანაში ჟეუმშალობა, შენ კი ჩამხტარხარ შუა ზღვაში და გინდა გასცურო, შესძლებ კი გახვიდე ნაპირზე?!.

მეორე ეპიზოდი. აკადემიის მესამე კურსზე ვართ. კურსის სტუდენტებს იაკობთან მოგვიხდა პატარა კამათი პროფესიულ საკითხზე. ახალგაზრდები სიფიცხით არ ვთმობდით ჩვენს პოზიციას, იაკობმაც არ დაგვითმო. გამწვავდა საქმე. იაკობთან ღარ გვედგომებოდა. „გაჭირვებულებს“ ნიკოლოზ კანდელაკმა შემოგვთავაზა თავისი კლასი. არც ვაცხელთ, არც ვაცივეთ და აკადემიის დირექტორის სახელზე დავწერეთ განცხადება, სადაც ვთხოვდით კანდელაკის კლასში გადასვლას. იაში მიეშველნენ, მან კიდევ მიხედა ასულს და ღიმილით წარმოთქვა: ჩემი ფეხების ბრალი არ არის, რომ წავიქეცი, ეს იმ მშვენიერი ასულის ბრალიაო...

იაკობი იყო ძალიან თავისებური, უცნაური პიროვნება. მაგონდება ერთი ეპიზოდიც. 1933 წელს სტუდენტებთან შესახვედრად ხშირად იწვევდნენ ძველ ბოლშევიკებს, ამასთან დაკავშირებით ყველა ხატავდა და ძერწავდა მათს პორტრეტებს.

მე დავიწყე ძველი ბოლშევიკის გიორგი ჩხეიძის (ჩემი ბიძის) ბიუსტი. მეორე სეანსზე ვმუშაობ. შემოდის სახელოსნოში იაკობი, მისი ასისტენტი თამარ აბაკელია სახელოსნოშია. მოგვესალმა, ეტყობა რაღაცაზე ღელავს, ბოლთას სცემს. წავიდა თუ არა ჩემი ნატურა, იაკობმაც იფეთქა:

— ეს რევოლუციონერი აქ რომ მოგიყვანია საერთო სახელოსნოში, მაგას ხომ შეიძლება ჰყავდეს მტერი და ვთქვათ იმ ოხერმა აქ ჩამოაგდოს ბომბი, ხომ ამოგვწყვეტენ სუყველას ერთ კიდევ საზღვარგარეთ ყოფნისას, მაშინ როცა გენიალურ ფრანგ მოქანდაკე როდენთან იყო დაახლოებული როგორც მისი მოსწავლე, მან შექმნა ისეთი სკულპტურული პორტრეტი, რომელმაც საქართველოს ხელოვნების მოყვარულნი ერთხმად აალაპარაკა.

უფრო გვიან, უკვე ჩამოყალიბებულმა მოქანდაკემ იაკობ ნიკოლაძემ შექმნა ჩახრუხაძისა და აკაკი წერეთლის სკულპტურული პორტრეტები, რომლებმაც საყოველთაო აღიარება ჰპოვეს.

ქართველი მხატვრები არასოდეს არ დაივიწყებენ იმ დიდ ღვაწლსა და ამაგს, რომელიც იაკობ ნიკოლაძემ დასდო ეროვნული კადრების სამჭედლოს — ქართული სამხატვრო აკადემიის ჩამოყალიბებას. იაკობ ნიკოლაძემ გიორგი ჩუბინაშვილთან ერთად დააარსა აკადემია, ამით საფუძველი ჩაუყარა ქართულ სამხატვრო პროფესიულ პედაგოგიას.

დიდია ღვაწლი იაკობ ნიკოლაძისა ქართული ხელოვნების წინაშე და ჩვენც ქართველი მხატვრები დიდი მოქანდაკის საიუბილეო დღეს კიდევ ერთხელ სიამოვნებით მოვიგონებთ ამ დიდ შემოქმედსა და მამულიშვილს.

ზურაბ ლეშავა,
სსრ კავშირის სახალხო მხატვარი.

დიდოსტატი

ქართული ქანდაკების შორეულ წარსულში ჩაწყვეტილი ძირების გაახლება და აღორძინება წილად ხვდა იაკობ ნიკოლაძეს. ამით განპირობებულია მისი უფუძემდებელი როლი ახალი ქართული ქანდაკების განვითარებაში. მისი ხელოვნება არა მარტო ამ აღორძინების შარავანდედით არის მოსილი, არამედ მისმა ისეთმა ქმნილებებმა, როგორიც არის „მწუხარე საქართველო“, აკაკი, ილია, ლენინი, ჩახრუხაძე, — საყოველთაო-საბჭოსო აღიარება მოიპოვა და შორს გაუთქვა სახელი არა მარტო მის შემოქმედებას, არამედ მთელ ქართულ საბჭოთა ხელოვნებას.

იაკობ ნიკოლაძის ღვაწლი დიდია, რამდენადაც მან ქართული ხელოვნების ტრადიცია ევროპული კულტურის მიღწევათა სიმაღლეზე აიყვანა და ამით საწყისი მისცა ქართული საბჭოთა ხელოვნების გამოჩენას მსოფლიო სარბიელზე.

როგორც დიდმა ოსტატმა იაკობ ნიკოლაძემ სახელი მოიხვეჭა იმითაც, რომ პოეტური ზეშთაგონებით ქვაში გამოკვეთა ადამიანის უნაზესი და უწრფელესი განცდები და ამით მხარი აუბა ფსიქოლოგიური რეალიზმის საერთო მიმართულებას ჩვენს მწერლობასა და ხელოვნებაში.

იაკობ ნიკოლაძე იმ დიდოსტატთა კრებულს ეკუთვნის, რომლებიც არა მარტო თავის თანამედროვე ხელოვნებას უდგანან სათავეში, არამედ დიდი ზრუნვით და მოღვაწეობით განაპირობებენ ხელოვნების თავიანთი დარგის განვითარების პერსპექტივას. ის იყო ერთ-ერთი ფუძემდებელი თბილისის სამხატვრო აკადემიისა. საქართველოს საბჭოთა მოქანდაკეების მთელი თაობა დავალაკაცდა მისი მზრუნველი, გულისხმიერი და შთამაგონებელი მასწავლებლობით. თავის აღზრდილებს მან ჩაუნერგა თანამედროვეობის მსწავლი გრძნობა და ახლის ძიებისაკენ დაუცხრომელი მისწრაფება.

იაკობ ნიკოლაძე მოაზროვნე შემოქმედი იყო. მისი მახვილგონიერება ყოველთვის აღტაცებას იწვევდა მიზანაუდებელი შენიშვნებით და ხელოვნებაზე გაბზოგადებული, ღრმად დამაფიქრებელი აზრებით.

იაკობ ნიკოლაძე იყო ნამდვილი საზოგადო მოღვაწე, დიდი მოქალაქეობრივი და მამულიშვილური გზნებით აღჭურვილი შემომქმედი, რომელიც მუდამ საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში იდგა და თავისი პრინციპული დამოკიდებულებით, მკაცრი მომთხოვნელობით და უზადო მხატვრული გემოვნებით დიდ როლს ასრულებდა ქართული კულტურის მშენებლობაში.

მადლიერი ქართველი ხალხი მარადის მადლიერების გრძნობით მოიგონებს მეოცე საუკუნის ხელოვნების დიდოსტატს, რომელმაც გზა გაუკვლია მოქანდაკეთა მთელ თაობებს დიდი შემოქმედებითი სარბიელისაკენ.

უჩა ჯაფარიძე,
სსრ კავშირის სახალხო მხატვარი.

მასწავლებელი, მეგობარი

მოგონებათა ფურცლები

ერეკლე ლუკაშვილი

ერის სასიქადულო მოქანდა

გამარჯობა, დიდო ფეხბურთო!

ოცდამეცხრე გაზაფხული

დიდ ფეხბურთს ყოველთვის უჩვეულო სიხარული მოაქვს. ეს განსაკუთრებით ვლინდება გაზაფხულზე, წლის ამ ყველაზე საუკეთესო დროს. ფეხბურთსაც აქვს თავისი გაზაფხული, უთუოდ თავისებური, მრავალმხრივი, ნაადრევი გაზაფხული. ეს პერიოდი, მარათონის სტარტად რომ არის აღიარებული, ყველაზე შრომატევადი და პასუხსაგებია. დიახ, სწორედ გაზაფხულზე ეურება საფუძველი შემოდგომის ოქროს ბრწყინვალებას.

ოცდამეცხრე გაზაფხულს ითვლის საბჭოთა ფეხბურთი, სპორტის ყველაზე მასობრივი, პროგრესული, ხალხური სახეობა. აბა გავიხსენოთ, ამ სამი ათეული წლის მანძილზე ფეხბურთის რამდენი თაობის ბრძოლის მოწმენი ვართ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ ბრძოლებში ჩვენი რესპუბლიკა, მუდამ იყო პირველთა რიგებში. ბრინჯაო ექვსჯერ, ვერცხლი ოთხჯერ და ბოლოს ჩემპიონობაც კი თავისთავად მეტყველებენ დიდ ფეხბურთში დინამოელთა სახელოვან გზაზე.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს გვახარებს, მაგრამ ეს ხომ ფეხბურთის ისტორიას განეკუთვნება. ახლა მთავარია დღევანდელობა, ჩვენი ფეხბურთის აწმყო და მომავალი. ცხადია, მხოლოდ წარსულის დიდებით ცხოვრება არა მარტო მავნე, არამედ მომაკვდინებელიც იქნებოდა. აქ ზედმეტი არ იქნება, თუ გავიხსენებთ უკანასკნელ ორ სეზონს, რომლებთანაც მხოლოდ სინანული გვაკავშირებს. მართალია, ჩემპიონობის მოპოვება უფრო ადვილია, ვიდრე მისი შენარჩუნება, მაგრამ ერთბაშად პირველიდან მეექვსე-მეშვიდე ადგილზე გადანაცვლება და აქ ტკეპნა, ისიც ისეთი დიდი ტრადიციისა და პოტენციალის გუნდისათვის, როგორიც თბილისის „დინამოა“, მიუტევებელია.

როგორც იტყვიან, შეცდომებზე სწავლობენ. და აი დადგა დრო — განაყენებული მაყურებლების წინაშე ჩვენი ფეხბურთელები სახალხელოდ უნდა წარსდგნენ, სინანულს სიხარული უნდა მოჰყვეს. აბა გადავხედოთ ჩვენს გუნდებს, მათს შემადგენლობას, ახალგაზრდობას, რეზერვს. არის თუ არა ამის შესაძლებლობა? უთუოდ არის!

ჩემპიონატზე ორი გუნდით გამოსვლა, ის ფაქტი, რომ თბილისის „დინამოს“ გვერდს უმშვენებს უმცროსი ძმა — ქუთაისის „ტორპედო“ — დიდი შენაძენია. ამ მონაპოვარს მეტი ხელის შეწყობა, ხორცის შესხმა და განმტკიცება უნდა. შორს ნუ წავალთ. ავიღოთ თუნდაც „სოვეტსკი სპორტის“ პრიზის გათამაშება. როგორც ვიცით, დინამოელებმა ჯაიბორიძეს. ვინ იცავდა ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას თუ არა ქუთაისის „ტორპედო“? ფინალში გასვლა — ეს ხომ დიდი გამარჯვება იყო. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ სეზონში ტორპედოელთა თამაში უფრო დახვეწილი, შემოქმედებითი გახდა და რა თქმა უნდა შედეგებიც უკეთესი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ XXIX ჩემპიონატში ტორპედოელებს სატურნირო ცხრილის უფრო მაღალ საფეხურზე ვიხილავთ.

როგორ ხვდებიან დიდი ფეხბურთის XXIX გაზაფხულს თბილისს „დინამო“ და ქუთაისის „ტორპედო“?

„დინამოში“ თვალსაჩინო ცვლილებებია. ეს ეხება არა მარტო კოლექტივის რიგით წევრებს, ფეხბურთელებს, არამედ ხელმძღვანელობასაც. ეს ყოველივე ეს მოხდა სეზონის გახსნის წინ. რასაკვირველია, ახალ მწვრთნელს ვ. სოლოვიოვს, რომელსაც ამ საქმის კარგი გამოცდილება აქვს და უნარი შეწევს სათავეში ჩაუდგეს უმაღლესი ლიგის ყოველ კოლექტივს, ერთბაშად ყველაფერი რიდი მოეთხოვება. იგი ხომ ჯერ კიდევ საფუძვლიანად ვერ გასცნობია გუნდის წევრებს, მათს შესაძლებლობას? ასეთ ვითარებაში სიტყვა კოლექტივს, ფეხბურთელებს ეკუთვნით. ისინი მხარში უნდა ამოუდგნენ მწვრთნელს, ხელიხელ ჩაკიდებულნი უნდა იბრძოლონენ დიდი მიზნებისათვის.

გავიხსენოთ 1964 წელი, ოქროს სეზონი, მაშინაც მოხდა ცვლილებები გუნდის ხელმძღვანელობაში და ისიც მეტად არასახარბიელო დროს, თითქმის შუა სეზონში. იმ დროს „დინამოს“ სათავეში ედგა ცნობილი მწვრთნელი მ. იაკუშინი. როგორც ცნობილია, იგი გ. კაჩალინმა შეცვალა. მაგრამ ამას გუნდის საბრძოლო განწყობილებაზე ოდნავადაც არ მოუხდენია გავლენა—დინამოელები განწყობილი იყვნენ ჩემპიონობისათვის, კოლექტივი, რომელსაც გამოცდილი კაპიტანი შ. იამანიძე უძღოდა, ჩემპიონი გახდა და მერე როგორ ბრძოლებში!

ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობაა „ტორპედოში“. გუნდი გამოირჩევა დისციპლინით, მონოლითურობით, ბრძოლის წყურვილით, გამარჯვებისაკენ სწრაფვით, საკუთარი ძალების რწმენით.

დიახ, ბევრი რამ არის დამოკიდებული კოლექტივზე, თვითეულ ფეხბურთელზე, მათს ერთსულოვნებასა და ურთიერთგაგებაზე ჩვენი სურვილია წელს მოედანზე ვხედავდეთ 1964 წლის ნიმუშისა და განწყობილების „დინამოს“.

დღეს ფეხბურთის XXIX გაზაფხულის მოსვლას იზეიმებენ. წარმატება ვუსურვოთ თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“.

ვ. გაბელია.

ლაკარაკობენ მწვრთნელები

სიახლენი იქნება

ჩვენი კორესპონდენტი ნ. ხიმშიაშვილი ეწვია დინამოელთა უფროს მწვრთნელს ვიპჩესლავ სოლოვიოვს და სთხოვა პასუხი გაეცა რამდენიმე კითხვაზე.

— რას იტყვით თბილისის „დინამოს“ უფროს მწვრთნელად თქვენი დანიშვნის შესახებ?

— რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ და სიამოვნებით მივიღე მოწვევა, მაგრამ გუნდის ტრადიციები დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს.

— ითამაშებს თუ არა იამანიძე, რას გვეტყვით ცხოვრებაზე?

— იამანიძე უკვე ვარჯიშობს. მართალია, პირველ შეხვედრაში იგი ვერ ითამაშებს, მაგრამ როგორც კი აღიდგენს ფორმას, უთუოდ იხილავთ მოედანზე. რაც შეეხება ცხოვრებას, ჩვენ ახლა კარგად გვახსოვს მისი საზრიანი თამაში, იშვიათი შრომისმოყვარეობა. იმედი გვაქვს, რომ ცხოვრებაი კვლავ დაუბრუნდება გუნდს.

— ვნახავთ თუ არა ნიახლეს გუნდის თამაშში?

— აუცილებლად, სხვანაირად არც შეიძლება. ამას გვიკარნახებს ფეხბურთის განვითარებაც და მოწინააღმდეგეთა თამაშის ხასიათიც. ცხადია, ყველასთან ერთი რეცეპტით ბრძოლა შეუძლებელია. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ კოლექტივის გადაყვანა „ახალ ლიახდაგზე“ ერთბაშად როდი მოხდება. გუნდს თავისი ტრადიცია აქვს, რომლის გაუთვალისწინებლობა ზიანის მომტანი იქნებოდა. სიახლე იქნება, მაგრამ კერძოდ რა — ამას მოედანზე იხილავთ.

— ოროოდე სიტყვა თქვენს უახლოეს მეტოქეზე.

— ლოკომოტიველთა უმრავლესობას ახალგაზრდობა შეადგენს. გუნდმა, შეიძლება, ითქვას, ყველაზე ადრე დაიწყო წვრთნა ჩემპიონატისთვის და კარგადაც მოემზადა. ისიც აღსანიშნავია, რომ „დინამომ“ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზის გათამაშებაში ლოკომოტიველებთან მარცხი განიცადა.

— ოდესის „ჩერნომორეცთან“ თამაშმა „დინამოს“ ერთგვარი რეაბილიტაცია მოახდინა. ეს გამარჯვება ხომ არ იქნება ჩემპიონატში მომავალ წარმატებათა პირველი მახარობელი?

— ჩვენი სურვილიც ეგ გახლავთ. ეს გამარჯვება მეტად აუცილებელი იყო გუნდისათვის, რათა იგი დარწმუნებულიყო თავის ძალებში. მოგეხსენებათ საკუთარი ძალებისადმი რწმენა, როგორც თვითეული ფეხბურთელის, ისე მთელი გუნდის თამაშისათვის გადამწყვეტი ფაქტორია. აქვე მინდა დავძინო, რომ მომავალ ჩემპიონატში ქუღები ადვილად მოსაპოვებელი როდი იქნება.

ვოქნილი ტაქტიკის ძიებაში

ქუთაისის „ტორპედოს“ უფროსი მწვრთნელი ა. ნორაკიძე გვიამბობს:

— თუ წლის დასაწყისში არა ერთი საკითხი გვქონდა მოსაწესრიგებელი, ახლა უკეთესი მდგომარეობა გვაქვს, როგორც იტყვიან — ამოვისუნთქეთ. ტორპედოელთა სბრძოლო ენერგიულობა კარგია და ეს ცოტას როდი ნიშნავს. გასულ სეზონში მიღებული ბურთების მიხედვით არასახარბიელო მდგომარეობა გვქონდა. ახლა ჩვენი დაცვითი ხაზები უფრო მტკიცე გახდა. ამაზე მეტყველებს თუნდაც „სოვეტსკი სპორტის“ პრიზის გათამაშებაში ჩვენი გუნდის შედეგები.

რეზერვს არ ვემდურით, იმედებს ვამყარებთ **ლ. ნოდიაზე, ი. ჩხაიძეზე, ა. კუპრეიშვილზე, რ. ჭოლაძეზე** და სხვებზე. ჩვენი ტაქტიკური ძიების მთავარ უბანს მოედნის შეაგულისადმი კონტროლი წარმოადგენს. გვინდა შევქმნათ თამაშის ეფექტური საკუთარი სტილი.

დღევანდელი ჩვენი მეტოქე მეტად ძლიერი კოლექტივია, მაგრამ მოსკოველ თანაკლუბელებთან თამაშში შებოჭილად როდი ვგრძნობთ თავს. ცხადია, სტარტის ორ ქულას დიდი მნიშვნელობა აქვს. ქუთაისის ტორპედოელებს სჯერათ თავიანთი ძალების.

დუბლიორთა მაჩხი

გუშინ ქუთაისში შედგა „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდების დუბლიორთა საკავშირო ტურნირის პირველი მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ ქუთაისისა და მოსკოვის „ტორპედოს“ სათადარიგო მოთამაშეთა კოლექტივები. მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — ფრე.

მომხმარებელი აქებს ფირანიშვილს

დასლთან თავაზიანი აღამიანია

თავაზიანობა ყველას ერთნაირად ამშვენებს, მაგრამ ყველაზე მეტად ეს იმას მოეთხოვება, ვისაც თავისი სამუშაოს ხასიათის მიხედვით ხშირი ურთიერთობა აქვს ადამიანებთან. ასეთი პროფესიის ადამიანთა რიცხვს ეკუთვნიან ვაჭრობის დარგის მუშაკები. უწინარეს ყოვლისა ეს გამყიდველზე ითქმის.

ვალიკო ფირანიშვილი თერთმეტი წელიწადია მუშაობს სავაჭრო დარგში. სადაც მას უმუშავნია, ყველგან უყვართ. ეს სიყვარული მან სწორედ თავაზიანობით, თავმდაბლობით და კეთილსინდისიერი მუშაობით დაიმახსოვრა. ამჟამად იგი ვაკეში, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პირდაპირ თბილგასტრონომვაჭრობის № 33 მაღაზიაში მუშაობს. სულ ორი თვეა, რაც აქ გადმოვიდა, მაგრამ ამ უბნის მცხოვრებლები მას უკვე კარგად იცნობენ. ისინი კი არა, სხვა უბნებიდანაც მოდიან მასთან. დიასახლისებს ურჩევნიათ ცოტა შორი გზა გაიარონ და ვალიკო ფირანიშვილის ხელით შერჩეული პროდუქტები იყიდონ. იგი ყველას გულღიად და თავაზიანად ხვდება; აცნობს, ურჩევს მაღაზიაში არსებული პროდუქტების ასორტიმენტს.

მობრძანდით და ნახეთ მაღაზიის სარეკლამო ფანერა და წინადადებათა წიგნი. მასში უკვე რამდენიმე მომხმარებელმა ჩაწერა ვალიკო ფირანიშვილის ქება. მოვიყვანთ ერთ მათგანს, რომელსაც ხელს აწერს კავსაძის ქუჩის № 6 სახლის მცხოვრები დიასახლისი ლუბა უბერი: „უაღრესად კეთილსინდისიერი და თავაზიანი ყველა მომხმარებლის მიმართ, საბჭოთა ვაჭრობის შესანიშნავი წარმომადგენელი, ასეთია ვალიკო ფირანიშვილი“. მსგავსი ამონაწერების მოყვანა შეიძლება იმ მაღაზიების წიგნებიდანაც, სადაც ვალიკო ფირანიშვილს უმუშავნია.

ვალიკო ფირანიშვილი ჯერ ახალგაზრდაა. მას ცხოვრება წინ აქვს და ვინ იცის კიდევ რამდენი ადამიანი იქნება მისი მადლიერი.

მართლაც რომ თავაზიანობის, თავმდაბლობის, პატიოსნების განსახიერებაა ვალიკო ფირანიშვილი.

• • •

სურათზე: ვ. ფირანიშვილი.
ფოტო ს. კილაძისა.

კიდევ შვიდ ქალაქში

ბარდა თბილისისა და ქუთაისისა, სადაც ერთმანეთს ხვდებიან „დინამო“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი), დღეს XXIX ჩემპიონატის ალამს აღმართავენ კიდევ 7 ქალაქში.

ყურადღების ცენტრში დგას ბაქოს მატჩი, სადაც სსრ კავშირის ჩემპიონს — კიევის „დინამოს“ პაექრობა ექნება ბრინჯაოს პრიზიორთან „ნეფტიანიკთან“. ვერცხლის პრიზიორი— ლონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი საკუთარ მოედანზე შეხვდება მინსკის დინამოელებს. ლუგანსკში ითამაშებენ „ზარია“ და მოსკოვის „სპარტაკი“, ერევანში — „არარატი“ და ოდესის „ჩერნომორეცი“, დონეცკში — „შახტიორი“ და ლენინგრადის „ზენიტი“, ტაშკენტში — „პახტაკორი“ და არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი, ალმა-ატაში — „კაირატი“ და კუბიშევის „კრილია სოვეტოვი“.

ნეტვრა

თბილისის დინამოელებს

ასეთ კარგს სხვას რას გისურვებთ?
ნეტავ ეს გაცხადდებოდეს:
როცა თქვენ თამაშს ვუყურებთ,
ღიმილი არ გვაკლდებოდეს.
ხალხის გუგუნი, ტაშის ხმა
მაღალ მთებამდეც სწვდებოდეს.
ქუდების სროლა, ყიჟინა
თქვენი დარტყმულით ხდებოდეს.

როგორც სამ წლის წინ, ნანატრი
ამ წელშიც შესრულდებოდეს...
თქვენი ნასროლი ბურთები
მუდამ მიზანში ხვდებოდეს,
ქედს ხრიდნენ მძლავრი გუნდები,
სულ ტაშკენტურად ხდებოდეს.

ვ. ხუცურაული,
დუშეთის რაიონი, სოფელი ხორხი.

ციფრები მეტყველებენ

766 გოლით აღინიშნა XXVIII ჩემპიონატი. აქედან უკანასკნელი ორი ციფრი — 66 კიევის დინამოელებს ეკუთვნით. დანარჩენი 700 ბურთი 18 გუნდზე მოდის. გატანილი ბურთებით თბილისის „დინამოს“ მეექვსე ადგილი უკავია — 47 ბურთი. გოლების ავტორი იყო 195 ფეხბურთელი. აქედან თორმეტმა საკუთარ კარშიც გაიტანა ბურთი, ორმა კი — მოწინააღმდეგისა და საკუთარ კარშიც.

საკავშირო ჩემპიონატებში მონაწილეობის რეკორდი ეკუთვნის ვეტერანს — **ი. ნეტოს** — 367 მატჩი. მას მოსდევს **ს. ზავიდონოვი** („ზენიტი“) — 290. **ვ. ივანოვსა** („ტორპედო“) და **შ. იამანიძეს** ნათამაშევი აქვთ 286-286 მატჩი.

გატანილი ბურთებით წინ დგას **ვ. ივანოვი** — 124 გოლი. მეორე ადგილზეა **ო. კოპაეევი** — 89, მესამეზე — **გ. გუსაროვი** — 82. **ვ. ბარქაიას** 67 ბურთით მერვე ადგილი უკავია, **შ. იამანიძეს** 66 გოლით — მეათე, **ს. მეტროველს** 62 ბურთით — მეცამეტე.

თბილისს „დინამოელები“ ერთხელ იყვნენ ჩემპიონები, ოთხჯერ ვერცხლის პრიზიორები, ექვსჯერ ბრინჯაოს მედალოსნები. ჩემპიონობა დინამოელთა **გ. კაჩალინის** მწვრთნელობისას ხვდათ, ვერცხლის მედლები — **მ. ბუტუსოვის, მ. მინაევის, მ. იაკუშინისა** და **ბ. პაიჭაძის** მწვრთნელობით, ბრინჯაოს მედლები — ორჯერ **ა. სოკოლოვის,** სამჯერ **ა. ფორდანის** და ერთხელ **მ. იაკუშინის** მწვრთნელობით.

ინტერვიუ

ნინდასელულობით

იუმორესკა

— **რა არის ახალი თქვენს გუნდში?**

— შარშანდელი შემადგენლობა შარშანწინდელით შევცვალეთ.

— **რას მიაქციეთ მთავარი ყურადღება?**

— გუნდის მორალურად გაკაჟებას. ყველა მატჩიც რომ წავაგოთ, მაინც ჩინებულ განწყობილებას შევინარჩუნებთ.

— **როგორ გაიძლიერეთ დაცვა?**

— მეკარედ დავნიშნეთ ყოფილი დირექტორი — ბიუროკრატი. ის კი, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თავის კართან იხეთ ყრუ დაცვას მოაწყობს, ახლოს ვერავინ მიუდგება.

— **თავდასხმა?**

— **თავდასხმას სათავეში ჩაუდგება ყოფილი მცველი, რომელსაც წინათ ერთი ზნე სჭირდა — ბურთებს ათავსებდა უანლოეს, ე. ი. საკუთარ კარში. ახლა, „იქითა მხარეს“ რომ იქნება, რასაკვირველია, არ დაინდობს მოწინააღმდეგის კარსაც.**

— **ვის თვლით თქვენს მთავარ მოწინააღმდეგედ?**

— **მთავარ მოწინააღმდეგედ — მთავარ მსაჯს. მაგრამ არც „გვერდითებს“ ვივიწყებთ.**

— **თასის მოპოვება თუ განგიზრახავთ?**

— **ამის პასუხს თავისთავად იძლევა საღამოობით ჩვენი ბიჭების ტკბილი, შეწყობილი ლიღინი „დალე და დადგი თასი“!.**

შ. წულუკიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოება იუწყებიან მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ

ალექსანდრე იოსების-ძე ფერეთლის

გარდაცვალებას და თანგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ფიქრები სტარტის წინ

საქართველოში ყოველ ნაბიჯზე შეგხვდებათ ძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევები. გარდასულ უამთა ეს უტყვი მოწმენი სილამაზისა და მომხიბვლელობას ანიჭებენ ჩვენს მთა-გორებს.

დღეს თვალს ახარებს მთის კორტოხზე აღმართული ციხე, მაგრამ ვინ იცის ჩვენი წინაპრების რამდენი ჭირი და ვარამია მასთან დაკავშირებული, რამდენი სისხლია დანთხეული მის კედლებთან.

ამ სურათზე ბობოთის ციხის (გეგეჭკორის რაიონი) ნანგრევებია აღბეჭდილი. მართლაც რომ ლამაზი სანახავია ხავსით და სუროთი დაფარული საუკუნოვანი კედლები. მახლობელი სოფლის ბავშვებს უყვართ აქ ამოსვლა. მათთვის ჯერ აუხსნელია ბებერი ციხის საიდუმლო. დაიზრდებიან, ისწავლიან და გაიგებენ.

ფოტო გ. ჯაჟელიასა.

საიდუმლოებაა როდია, რომ სპორტულ ბრძოლაში საკითხი „ვინ ვის“ არსებითად მომზადებაში წყდება. და რომ არ შევცდეთ, საჭიროა რაც შეიძლება უფრო ზუსტად გავითვალისწინოთ, თუ რა და როგორ უნდა გაკეთდეს მოსამზადებელ პერიოდში.

არ შეიძლება არ გადავვლოთ თვალი და ერთხელ კიდევ არ გავუკეთოთ ანალიზი განვლილ გზას.

გასული წელი მეტად საგულისხმო იყო. მსოფლიოს ჩემპიონატს და ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშებას ადასიათებდა მთელი რიგი სიახლენი და მათ უხვად მოგვეცეს საფიქრებელიც.

სავსებით ცხადი გახდა, რომ ჩვენს ფეხბურთს ესაჭიროება საკმაოდ სერიოზული გარდაქმნა, და არა მარტო ფესვგადგმული პრაქტიკისა, არამედ ზოგიერთი თეორიული წარმოდგენისა და ცნებისაც.

აი, მაგალითად, დაცვაში მოთამაშეთა რაოდენობის ყოველი გადიდება დასაგმობად მიგვაჩნდა.

სპეციალური ფორმულაც კი გამოიგონეს: „საქმე რიცხვი კი არა, მოსერხებულობაა“..

ამავე დროს წამყვანი საზღვარგარეთული გუნდები (ინგლისის, პორტუგალიის, უნგრეთის) განსაკუთრებულ ტაქტიკურ მოქნილობას იჩენდნენ. მათ თამაშს რომ უყურებდი, უნებლიეთ გახსენდებოდა ჭიანჭველის ბუდე ან ფუტკრის ნაყარი.

თითქოს ჩვენს საწინააღმდეგოდ მათში მოქმედებდა დაუწერელი კანონი: „რიცხვიც და მოხერხებულობაც“. და ყოველთვის როდი მიხვდებოდი, ვინ ვის თამაშობდა, მაგრამ ამავე დროს ტაქტიკური ჰარმონია არ ირღვეოდა.

აი ახლაც თვალწინ მიდგას ყველგან მყოფი ბობი ჩარლტონი მოქმედების უმაგალითო დიაპაზონით, თითქმის ერთი კარიდან მეორემდე, და ისეთი ბომბარდირი, როგორიც ეისებიოა, რომელიც იერიშისას თავისი ფუნქციების დამატებით ეხმარებოდა მცველებს თავდადებით დაეცვათ კარი — გუნდის ეს წმიდათაწმიდა.

მცველებიც არა რჩებიან ვალში, ისინიც ეხმარებიან თავდამსხმელებს, და საკმაოდ ხშირად წვვეტენ ამ უკანასკნელთა წარმატებას. გამოდის, რომ ასეთ გუნდს თამაშის ყოველ ეპიზოდში მოთამაშენი მეტი ჰყავს, ვიდრე მის მოწინააღმდეგეებს.

ასეთი უპირატესობა გადამწყვეტია. და გასაკვირველი როდია, რომ ჩვენი ქვეყნის ნაკრებ გუნდს დასჭირდა თამაშის ნაჩქარევად გარდაქმნა. თამაშში შეყვანილ იქნა „მწმენდველიც“, — სწორედ ის, რომელსაც ჩვენში არც თუ დიდი პატივით იხსენიებდნენ, მათ შორის ნაცადი სპეციალისტებიც.

მაგრამ მოდით ძალიან ღრმად ნუ გავუყვებით მსჯელობას, ვილაპარაკოთ, ისიც მოკლედ, ჩვენს ფეხბურთზე. ჯერ შევეხოთ გასული წლის გათამაშებას.

შარშანდელ ფეხბურთში ყველაზე შესანიშნავი, უეჭველია, კიეველ დინამოელთა თამაში იყო. მან აღტაცებაში მოიყვანა როგორც მაყურებლები, ისე სპეციალისტები და გაოცება გამოიწვია.

მართლაც, საიდან შეიძინეს მათ დაუშრეტელი ენერგია, დახვეწილი ტექნიკა, ორიგინალური ეფექტური ტაქტიკა, მებრძოლური სულისკვეთება, მოქმედების კოლექტიურობა და მთელი რიგი სხვა თვისებანი? როგორ შეძლეს მათ უმტკივნეულოდ შეეცვალათ დიდი ჯგუფი წამყვანი მოთამაშეებისა, რომელიც სსრ კავშირის ნაკრებში იყვნენ შეყვანილნი?

ყველა ამ ქმედობას „კიევის გამოცანას“ უწოდებდნენ და ქებით იხსენიებდნენ მათს უფროს მწვრთნელს ვ. მასლოვს და მოთამაშეებს. ჩვენ სიამოვნებით ვუერთდებით ასეთ დაკვნას.

მაგრამ მე, სწორე მოგახსენოთ, განსაკუთრებით ის მახარებს, რომ მათმა თამაშმა თვალსაჩინოდ გვიჩვენა, თუ რა ძალუძთ ჩვენს ფეხბურთელებსა და ჩვენს მწვრთნელებს. საკმაოდ საგულისხმო გაკვეთილია ურწმუნოთათვის. და დაე იცოდნენ მათ, რომ ეს ზღვარი როდია.

უკრაინელ ფეხბურთელთა თამაში, მათი აღმაფრენა უეჭველია კეთილი ნიშანია, მაგრამ ეს, ისევე როგორც ერთი მერცხალი, ამინდს როდი ქმნის. უმაღლესი ლიგის ყველა დანარჩენი გუნდი კი (ისინი ხომ თვრამეტნი), თამაშითაც და ქულებითაც ჩამორჩება ჩემპიონს. განსაკუთრებით კი საჭიროა უმრავლესობის მიხედვით.

რა თქმა უნდა, „ქოთნებს მარტო წმინდანები როდი აკეთებენ“, მაგრამ შეცდომა იქნება ვიფიქროთ, საკმარისია მოთამაშეთა განლაგების სქემა და ჩემპიონის თამაშის ზოგიერთი თავისებურება გადმოვიღოთ, და წარმატება განაღდებული იქნებაო.

ზოგიერთ ჩვენს მწვრთნელს კი ასეთი განზრახვა ემჩნევა. ეს ჩვეულების ბრალია.

ერთხელ უკვე ვიწვნიეთ, თუ რას ნიშნავს ასეთი მეთოდის გამოყენება, როცა თამაშის ბრაზილიურ სისტემაზე გადავდიოდით.

ეს საკმაოდ ბევრ მტანჯველ წლად გვიღირდა. ბოლოს და ბოლოს მას მწვერვალამდე ავედით მაშინ, როცა თვითონ იგი იქ აღარ იყო.

ნუთუ ყოველივე ამის დავიწყება შეიძლება? არა, მე იმის წინააღმდეგი როდი ვარ, რომ გადმოვიღოთ ახალი, კარგი და სასარგებლო. პირიქით, ამის მომხრე ვარ.

მაგრამ ყველაფერი გონივრულად უნდა კეთდებოდეს და ასახვას პოულობდეს კონკრეტულ მოთამაშეთა „ხატად და მსგავსად“, რომ არ არღვევდეს მათს ინდივიდუალურ თავისებურებებს.

ჩვენს ნიჭიერ ფეხბურთელებს ფორმალურ ფუნქციებსა და მოქმედებას რომ ვახვევთ თავს, იმდენად კი არ ვავითარებთ, რამდენადაც ვახშობთ მათს ნიჭსა და შემოქმედებითს უნარს. ამის შედეგად ხშირად თამაშს კი არ ვხედავთ, არამედ თითქოსდა თამაშს და თანაც გვიკვირს, ეს საიდან გაჩნდაო.

ეს შეეხო არა მარტო ჩვენს შესანიშნავ მოთამაშეებს — მესხსა და მეტრეველს, არამედ სხვებსაც.

ახლა საჭიროა გამოვიჩინოთ პედაგოგიური ოსტატობა და გავუფრთხილდეთ ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელების ნიჭს. არ შეიძლება ტრავმა მივაყენოთ მათს ფსიქიკას, ძალადობით მოვახვიოთ თავს შაბლონური, მიამიტური თამაში.

შეიძლებოდა დამესახელებინა მსხვილი, მაგრამ წმინდა ჰედაგოგიური მოსაზრებით არ ვაკეთებ ამას.

ხოლო რა გამოუვიდათ კიევის დინამოელებს? სამწუხაროდ, მათი უფროსი მწვრთნელი ვ. მასლოვი თავის საინტერესო სტატიებში ნაკლებად ეხებოდა ამ საკითხს.

ვბედავ გამოვთქვა აქ ჩემი მოსაზრებანი.

უკრაინელთა წარმატება და დანარჩენი 18 გუნდის წარუმატებლობა ერთი და იმავე მოვლენის ორ მხარეს წარმოადგენს. და უცნაურობად ნუ ჩამოერთმევა, თუ მედლის, ანუ ვთქვათ, უკანა მხრიდან დავიწყებ. სასწაულები არ ხდება. დიდი ხანია ცნობილია, რომ „ქვეითი ცხენოსანს ამხანაგად ვერ გამოადგება“.

თვრამეტმა გუნდმა, სწორედ იმ გუნდებმა, რომლებიც ჩამორჩნენ, რომლებმაც ვერ გაბედეს რეგლამენტირებული ფეხბურთის საყრდენები დაერღვიათ, „ღვთის გმობა“ ვერ გაბედა ექსპერიმენტს წარმატება მოჰყვა. ვ. მასლოვმა შეძლო ამმოქმედებინა ის შესაძლებლობანი, რომლებიც ჩვენს ფეხბურთელებს მოეპოვებათ, და ამისათვის ქება-დიდება ეკუთვნის.

გათამაშების თვითეულ მონაწილეს გულის სიღრმეში, ცხადია, სურს იცოდეს — შეძლებს თუ ვერა ჩემპიონის მანვერის გამეორებას და გაუსწრებს თუ ვერა. მათი გუნდი ქვეითების მწყობრს? ფეხბურთის ჩვენი მოყვარულნიც ელიან პასუხს ამ კითხვაზე.

ყოველივე ეს მათ ძალუძთ. მაგრამ კონკურენტი ვიყო, ვიტყვი ჩვენს თბილისის „დინამოს“ გუნდზე, რომელსაც სხვებზე უკეთ ვიცნობ.

ქართველ ფეხბურთელებს არაერთხელ გაუსარგებიათ ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრიობა მაღალი სპორტული ემოციურობის ინიციატივიანი ფეხბურთით, ბევრად რომ არ ჩამოუვარდებოდა ჩვენი ქვეყნის ახლანდელ ჩემპიონს.

ეს იმ დღეებში ხდებოდა, როცა მათი უმაღლესი შთაგონებულობა სძლევდა ფორმალიზმით თავსმოხვეულ მექანიკურ ფეხბურთს, და თამაშში ბატონობდა ხალხის შეგნება, მისი თვისებები.

ამ თამაშების მიხედვით უნდა ვმსჯელობდეთ ჩვენი მოთამაშეების იმ დიდ შესაძლებლობებზე, რომლებიც გამოუვლინებელი რჩება ჩვენივე მიზეზით.

ასეთ მომენტებში მაგონდებოდა ფეხბურთის ცნობილი ფრანგი მიმომხილველის ბაბრიელ ანოს სიტყვები. რამდენიმე წლის წინათ მან განაცხადა, საბჭოთა ფეხბურთი წამყვანი იქნება მაშინ, როცა მექანიკური კი არა, შეგნებული გახდებაო.

და ყოველთვის მეტად უცნაური მეჩვენებოდა, რატომ ყურად არ ვიღებდით ამ ნათელ და გასაგებ წინასწარმეტყველებას, რატომ იყო, რომ, კ. ს. სტანისლავსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ტენორს ვაიძულებდით ბანით ემღერა“, ისიც მაშინ, დავძენ მე, — როცა იგი ლირიკულია.

როგორ გავხადოთ სწრაფმავალი მუდმივად? და აქ თავისთავად ცხადი ხდება იმის აუცილებლობა, რომ ხელი ავიღოთ ფესვგადგმულ მავნე პრაქტიციზმზე, ნაკლებად ვიწუოდეთ მიმმაძველობასა და ასლის გადმოღებას და მეტად ვიყოთ „თავისთავადნი“.

ასეთი ქცევა წარსულში ყოველთვის შეგვფერებოდა და ქმედითად გვეხმარებოდა ბრძოლაში.

როგორც ხედავთ, გუნდს ბევრი რამ ჰქონდა დასაფიქრებელი. დაუფიქრდა კი?

ა. გალაბერინი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03. 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80 სამდივნოსი — 9-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61 პროპაგანდის — 3-22-93, მრეწველობის — 3-20-34, ხოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58 ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24 ილუსტრაციის — 3-28-54, განცხადებების — 3-93-96.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 00720

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ტელევიზია

2 აპრილი

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 11.00 — „მაღვიძარა“ (გადმოცემა კიევიდან), 11.30 — ჩვენ ვსწავლობთ ინგლისურს (მესამე, მეოთხე და მეხუთე გაკ